

მესხეთის ქედის გეომორფოგენეზისი (ჩრდილო ფერდობის ფარგლებში)

მერი ბათმანიშვილი

ელ.ფოსტა: meri.batmanishvili679@ens.tsu.edu.ge

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

აღსანიშნავა, რომ პლანეტის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ბუნების სტიქიური პროცესები ყოველთვის საშიშროებას უქმნიდა და დღესაც უქმნის, ართულებს მათ საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობას და აზიანებს არსებულ ინფრასტრუქტურას.

კვლევის ობიექტია მესხეთის ქედის ჩრდილო ფერდობი, რომელიც ბუნებრივი სტიქიით დაზიანებადობის ხარისხისა და საშიშროების რისკის მიხედვით რთულ რეგიონს განეკუთვნება და მათგან მიყენებული ზარალი მაღალია, ხოლო ექსტრემალური გააქტიურების პირობებში სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება.

მესხეთის ქედი თავისი, მორფოლოგიური თავისებურებების, გეოლოგიური აგებულების, უნიკალური ბუნების, საინტერესო მდებარეობის და სხვა ნიშნების გამო, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქედია ტურისტული (და არამარტო ტურისტული) თვალსაზრისით. მის ფერდობებზე მდებარე კურორტები (აბასთუმანი, ბახმარო, საირმე, ნუნისი და სხვ), ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, განსაკუთრებული მორფოლოგიის მქონე მდინარეთა ხეობები, უნიკალური განამარხებული ფლორის ნაშთები, ანთროპოგენური რელიეფის ფორმები ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების სახით და სხვა მრავალი საინტერესო ობიექტები ამის ნათელი დასტურია.

საველე და კამერალური კვლევის შედეგად განხორციელდა ყველა იმ ბუნებრივი პროცესის შეფასება, რომელიც განვითარებულია საკვლევ ტერიტორიაზე, კერძოდ: სტიქიური გეოდინამიკური მოვლენის იდენტიფიცირება, განვითარების მასშტაბებისა და მათ მიერ მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტებისადმი ზიანის დადგენა; არსებული ისტორიული მონაცემების შედარება თანამედროვე მონაცემებთან; პოტენციურად განსაკუთრებით საშიში კერების გამოვლენა და ცალკეული ბუნებრივი პროცესების კარტოგრაფირება, მონაცემთა ბაზებისა და სხვადასხვა თემატური რუკების შექმნა გეოსაინფორმაცო სისტემებში (GIS).

